

# გრანსების სხეულებრივი გარდაქმნა: ბიოლოგიურის გადააზრება მრავალფეროვნებად დიქოტომიის ნაცვლად

ავტორი: რიკი ლეინი

მთარგმნელი: სალომე ქინქლაძე

ფემინისტური და გრანს თეორია გამოწვევის წინაშე აყენებს გენდერი/სქესის ბინარულ სისტემას, მაგრამ შესაძლოა, შექმნას ახალი ბინარული ოპოზიციები: კონსერვატიული გრანსსექსუალის წინააღმდეგ სუბვერსიული გრანსგენდერი. სტაგის მიზანია, წარმოშვას დისკუსია სხეულების, როგორც ავთენტური/ნამდვილისა და კონსტრუირებული/ცვალებადის ურთიერთწინააღმდეგობის შესახებ; ნაშრომი ამტკიცებს მოსაზრებას, რომ მსგავსი მსჯელობა წარმოქმნის მკვლარ დიქოტომიას, რომლის გადალახვაც შესაძლოა, მოხდეს სქესის/გენდერის მეცნიერული ვაგების გადააზრებით. ბოლო დროს ბიოლოგიისა და ნევროლოგიის სფეროებში არასწორხაზოვნებას, შემთხვევითობას, თვითორგანიზებულობასა და საზღვრების არარსებობას უსვამენ ხაზს. აღნიშნული კვლევა გვთავაზობს უსასრულო თეორიული ჩიხებიდან გასასვლელ გზებს.

---

ეს... შესაძლოა, არის ყველაზე საკამათო საკითხი სქესისა და გენდერის თეორიაში. არის თუ არა გენდერული იდენტობის საფუძველი ესენციალური და ბიოლოგიური, თუ ის სოციალურად კონსტრუირებულია? (Whittle 2006, xiii)

გრანს<sup>1</sup> და ფემინისტური თეორიები იშვიათად უღრმავდება ბიოლოგიურ სხეულთან დაკავშირებულ საკითხებს.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ ფემინისტურ და გრანს კვლევებში ხშირად უპირისპირდება ერთმანეთს ბიოლოგიური ესენციალიზმისა და სოციალური კონსტრუქცივიზმის მიდგომები, როგორც ეს მოცემულია, მაგალითად, *გრანსგენდერული კვლევების საკითხავში* (TSR) (Whittle 2006), ბინარულობაზე ძალიან იშვიათად მახვილდება ყურადღება. „ქვიარ/გრანსგენდერი“ და „გრანსსექსუალური წარმოშობის“ აქტივისტების პოლარიზება ქმნის „სუბვერსიული გრანსგენდერისა“ და „კონსერვატიული გრანსსექსუალის“ იდენტობების ბინარულ ოპოზიციებს (Namaste 2000; Serano 2007), რაც, თავის მხრივ, პოლიტიკურ და თეორიულ შეკითხვებს წარმოშობს განსხეულების მნიშვნელობის შესახებ გრანსისა და გენდერის, როგორც მაგერიალურ-სოციალური ფენომენის აღქმის პროცესში. ეს ნაშრომი ამტკიცებს, რომ შემეცნებითი და პოლიტიკური გამყოფი ხაზი ახლა ნაკლებად მიემართება ბუნება/აღზრდის დაპირისპირებას, არამედ, ინტერესდება მრავალფეროვნებისა და დიქოტომიის წინააღმდეგობრივი ველებით. გენდერული ბინარულობის კრიტიკოსი „გენდერულად არაკონფორმული“ ადამიანების მოსაზრებების გამოარებით, ასევე იმ ადამიანების მიმდებლობით, რომელთა გენდერულ იდენტობას (მიუხედავად იმისა, რომ ისინი თვითიდენტიფიკაციას ახდენენ, როგორც გრანსები, გრანსგენდერები ან გრანსსექსუალური წარმოშობის და ა.შ.) საზოგადოება მუდმივად „არანორმალურობის“ ჩარჩოებში არ ათავსებს. ჩვენ შეგვიძლია, მოძრაობა გარდავქმნათ გაერთიანებად, რომელიც მიზნად ისახავს „სამყაროში უსაფრთხოების დამყარებას, რომელიც ღია იქნება ნებისმიერი გენდერისა და

---

1

2

სექსუალობისათვის” (Serano 2007, 358). ჩვენ უნდა დავძლიოთ ზოგადად გენდერთან და, კონკრეტულად, გრანსთან დაკავშირებული ბინარული ოპოზიციები, როგორცაა ესენციალიზმი კონსტრუქტივიზმის წინააღმდეგ, სუბვერსიული კონსერვატიული გენდერული იდენტობების წინააღმდეგ. დებატი სხეულის აღქმამე, როგორც ავთენტური/ნამდვილი კონსტრუირების/ცვალებადის წინააღმდეგ, წარმოქმნის მცდარ დიქტომიას. აღნიშნული დიქტომიის დაძლევა კი შესაძლებელი იქნება ბიოლოგიასა და ნევროლოგიაში სქესისა და გენდერის ხელახალი კვლევით. აღნიშნული სტაგია ამტკიცებს: მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელია გენდერულ განვითარებაში ბიოლოგიის მნიშვნელობის შესახებ არგუმენტების კრიტიკული შეფასება, დაუყოვნებლივ არ უნდა მოხდეს მათი უარყოფა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს არგუმენტები ხაზს უსვამს არასწორხაზოვნებას, შემთხვევითობას, თვითორგანიზებულობას, საზღვრების არარსებობასა და გარდაქმნას. ბიოლოგიის საკითხავის იმგვარად შედგენა, რომ ის ღიაობითა და კრეატიულობით გამოირჩეოდეს, ხელს შეუწყობს ისეთი პერსპექტივის ჩამოყალიბებას, რომლის ფარგლებშიც გენდერთან და სქესთან დაკავშირებული მრავალფეროვნება წარმოდგენილი იქნება კონტინუუმის და არა დიქტომიის სახით. მარტივად რომ ვთქვათ, „ბუნება“ გასცემს ყოველივე ამ მრავალფეროვნებას, ხოლო სამოგადოებამ ის უნდა მიიღოს.<sup>3</sup> ამ არგუმენტის დასაბუთების მიზნით ტექსტის პირველ ნაწილში მიმოვიხილავთ იმ დებატებს, რომლებიც გრანს და ფემინისტურ თეორიებში გენდერისა და გრანს ბინარულ ცნებებს უკავშირდება; მეორე მხრივ, ტექსტი შეეხება ფემინისტურ მიდგომებს, რომლებიც ესენციალისტური/კონსტრუქტივისტული ბინარულობის გადალახვას ისახავს მიზნად; ასევე, ტექსტში ბიოლოგიის საკითხავი წარმოდგენილია, როგორც ღია და მრავალფეროვნების შემქმნელი. და ბოლოს, ტექსტი გვთავაზობს, გადავიზომოთ ნევროლოგიაში არსებული ბოლოდროინდელი ნაშრომები გრანს ეტიოლოგიაზე.

### ფემინისტური და გრანს დებატები

უდრის თუ არა სოციალური კონსტრუქტივიზმი სოციალიზაციის თეორიას? ფემინისტურ ანალიზში გენდერის ბიოლოგიური ახსნები დანახულია, როგორც საჯარო ცხოვრებიდან ქალების გამორიცხვის ლეგიტიმაცია და კაცების დომინაციის გამართლება. ამის ნაცვლად, ფემინისტურ თეორიებში გენდერი წარმოდგენილია, როგორც სოციოკულტურული პროდუქტი. ბიოლოგიური დეტერმინიზმის უარყოფამ რიგ შემთხვევებში გამოიწვია ის, რომ ბიოლოგიური სხეულის ნებისმიერ კონტექსტში მოხსენიება ესენციალისტურად შეფასდა, რის შედეგადაც მრავალმა ფემინისტმა მკვლევარმა ბიოლოგიის კატეგორია ყურადღების მიღმა დატოვა და ანალიზის სივრცე ბიოლოგიის მეცნიერებას დაუტოვა (Birke 2000, 29-34). სქესი/გენდერის გამიჯვნამ, რაც განსაკუთრებული ენთუზიაზმით 1970-იან წლებიდან დაიწყო, გენდერი, როგორც სოციალურად შექმნილი რამ, „ჩვენი“ კვლევის სფეროდ აქცია. პოზიტივისტი მეცნიერები ხშირად შეცლომით აიგივებდნენ *სოციალური კონსტრუქტივიზმის* ანალიზს გენდერული განვითარების შესახებ არსებულ სოციალიზაციის თეორიასთან (McKenna and Kessler 2000, 69). ფემინისტური ანალიზიც იმავე შეცლომას დაუშვებს, თუკი ის ავტომატურად უარყოფს გენდერში ბიოლოგიის როლს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში, კვლევებზე დაფუძნებული ცოდნა და მიღებული შედეგები სოციალიზაციის თეორიის არგუმენტებს არ ამყარებს, სოციალური კონსტრუქტივიზმისთვის უმთავრესია სოციალიზაციისა და ბიოლოგიური კვლევის კრიტიკა, რომელიც ეფუძნება დაშვებას, რომ ბუნებაში მხოლოდ აღნიშნული ორი, ქალისა და კაცის,

კატეგორიები არსებობს (Kessler 2007). ნებისმიერი ცოდნა - ბიოლოგიური თუ სოციალური - სოციალურადაა წარმოებული და კომპლექსურ ინსტიტუციებში, სახელმწიფო პოლიტიკასა და ფინანსებში, დისციპლინარულ შეზღუდვებსა და წინასწარგანწყობებში, ადგილობრივ პრაქტიკებში, ლაბორატორიებისა და სკოლების პრიორიტეტებში კულტურულად ვალიდურ ცოდნად არის გაზიარებული. მნიშვნელოვანია, რომ ფართო სოციალურ ჩარჩოში ჩავრთოთ და შემოვიგანოთ ბიოლოგიური ახსნა; მოწინავე ფემინისტური და გრანს პოლიტიკისთვის ბიოლოგიური დისკურსი ავტომატურად, სხვა დისკურსებთან შედარებით, რამე საფრთხეს არ წარმოადგენს. ბიოლოგიური დეგერმინიზმის რეაქციონერული გამოხატულება იყო, მაგალითად, ნაცისტების მიერ ჰომოსექსუალების არაადამიანებად განხილვა და მათი განადგურებისკენ სწრაფვა. თუმცა, სოციალიზაციის თეორიებიც რეაქციონერული იყო, როდესაც ჰეგერონორმატიულ დაშვებებს ეფუძნებოდა. ამას ადასტურებს ჰომოსექსუალი და გრანსი ადამიანების წინააღმდეგ მიმართული რეპარაციული თერაპიის გამოყენების პრაქტიკა, ხოლო ინტერსექსი ბავშვების შემთხვევაში - სამედიცინო ჩარევა.

დაიანა ფასი, რომელიც საუბრობდა ანტიესენციალისტური პარანოიის ჩიხიდან გამოსვლის გზაზე, ამტკიცებდა, რომ კონსტრუქტივიზმის მსჯელობა გენდერზე ესენციალისტურია, მაშინ, როდესაც კაცისა და ქალის კატეგორიებს სჭირდება უწყვეტობისა და საერთოობის მინიმალური დონე. ფასი განასხვავებს ერთმანეთისაგან ესენციალიზმის ორ სახეს, "deploying" და "lapsing into" - ესენციალიზმის რადიკალურ და კონსერვატიულ გამოყენებას, (Fuss 1989, 20), და აღნიშნავს, რომ ამ განსხვავების უგულებელყოფა გვიბიძგებს იმის აღიარებისკენ, რომ „ესენციალიზმი ყველგან და ყოველთვის რეაქციულია, [რაც] იმგვარ მიდგომას გულისხმობს, რომ *თითქოს ესენციალიზმს არსი ჰქონდეს*” (21). თუკი უარყოფთ „ბიოლოგიზმს”, ჩვენ ვიფიქსებთ იმ ბიოლოგიის არსებობას, რომლის თეორიზებაც უნდა მოვახდინოთ ბუნებრივი, ბიოლოგიური, სოციალური და კულტურული ცნებების კვლევით, აგრეთვე იმის ანალიზით, თუ როგორ ვითარდება ეს კატეგორიები და დისკურსის ფარგლებში როგორ შემოქმედებს ერთმანეთზე. 20 წლის შემდეგ ფემინისტი მკვლევრები ისევ ჩანან დაინტერესებული ბიოლოგიით, როგორც ეს *გრანსგენდერული კვლევების საკითხავიდან (TSR)* გამოჩნდა. გრანს კვლევებში მიმდინარე დებატები შეეხება იმის გარკვევას, არის თუ არა მნიშვნელოვანი ეტიოლოგია; ასევე ყურადღება ექცევა მნიშვნელოვან გენდერიზებულ „მე“-ს გროუს გრანსსექსუალურ ნარატივებში.

აქვს მნიშვნელობა „რაგომ“ კითხვის დასმას გენდერისა და, განსაკუთრებით, გრანსის შემთხვევაში? თუ საკმარისი იქნება, რომ უბრალოდ მივიღოთ გრანსი ადამიანების არსებობის ფაქტი? ბიოსამედიცინო და სოციალური მეცნიერებების ლიგერატურაში დიდი ადგილი უჭირავს მიზეზების შესახებ მსჯელობას, რაც ააშკარავებს იმ მრავალრიცხოვან ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ პარადიგმებს, რომლებიც ანალიზისას წარუმატებელი აღმოჩნდა.<sup>4</sup> გრანს პოლიტიკაში მრავალი ადამიანი ეწინააღმდეგება გრანსი ადამიანების არსებობის მიზეზების ახსნის მცდელობებს. მიზეზების ძებნა კი, თავის მხრივ, არის მიმღებლობის არარსებობის (Serano 2007, 188) ან განკურნების გზების ძიების ნიშანი (Devor 1997, 585). ნაცვლად იმისა, რომ ვეძებოთ გრანსი ადამიანების არსებობის გამართლება, უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ისინი ამ სამყაროში ცხოვრობენ და დავაკვირდეთ, თუ „როგორ“ ურთიერთობენ ისინი სოციალურ ინსტიტუციებთან (Namaste 2000, 55-56), ასევე მიზნად დავისახოთ ისეთი სამყაროს შექმნა, რომელიც ღია იქნება

გენდერული მრავალფეროვნების მიმართ (Devor 1997, 586). თუმცა, გრანსსექსუალი ადამიანები ხშირად იშველიებენ არგუმენტს, რომ „გრანსსექსუალიზმი ისეთი ბიოლოგიური მექანიზმების შედეგია, რომელზე დაკვირვებაც შეუძლებელია და მასზე ოჯახის დინამიკა ვერ ახდენს გავლენას” (434). ამ არგუმენტს ისინი, განსაკუთრებით, ოჯახის წევრების დარწმუნების მიზნით იყენებენ. *სადიაგნოსტიკო და სტატისტიკური სახელმძღვანელო*დან გენდერული იდენტობის აშლილობის (GID) დიაგნოზის ამოღების მომხრეები ხშირად იყენებენ ნევროლოგიურ მოდელს, ხოლო სერანო ამტკიცებს, რომ „ბიოქსპერიმენტული” მოდელი სოციალური და ფსიქოლოგიური მოდელების ნეგატიურ ზეგავლენებს გამოწვევის წინაშე აყენებს (Serano 2008).

მე ვამტკიცებ, რომ დიას, კითხვა „რაგომ” მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი, თავად გრანსი ადამიანები აღნიშნავენ, რომ მათი გამოცდილებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით, გრანზიციის პროცესში, ეს მნიშვნელოვანია. მეორე, საჭიროა, რომ გენეტიკური ლეგერმინიზმის ერთგვარ აკვიატებად ქცევა განვმარტოთ და ავხსნათ, ნაცვლად იმისა, რომ ის ყურადღების მიღმა დაგვრავთ. ამავდროულად, ბიოლოგიურ დისკურსს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის გამოწვევის წინაშე აყენებს რელუქციონისგულ ბიოლოგიურ ლეგერმინიზმს. ფსიქიატრიის ლომინირების მიმართ მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები ჩნდება, რაც, მაგალითად, გენდერული იდენტობის აშლილობის დიაგნოზის ამოღების ან მისი შესწორების მოთხოვნაში გამოიხატება. და ბოლოს, ეგიოლოგია მნიშვნელოვანია გრანსსექსუალი და გრანსგენდერი კატეგორიებისა და მათი უფლებების „ზღვარზე ყოფნასთან დაკავშირებულ დისკუსიებში”.

არის თუ არა გრანსსექსუალი კონსერვატიული და გრანსგენდერი სუბვერსიული? „გრანსგენდერის” კატეგორია სწრაფად განვითარდა: 70-იან წლებში პრინცი იყო გრანსგენდერისტი, რომელიც გრანსსექსუალის ალტერნატიულ სახეს წარმოადგენდა, ანუ მათ, ვისაც არ სურდათ სხეულებრივი ცვლილება (Ekins and King 2006, 13); ბორნსტაინის იდენტობის წინააღმდეგ მიმართული იდენტობა, რომელიც სოციალურ და მორალურ საზღვრებს სცდებოდა, მიზნად ისახავდა გენდერული ბინარულობის რღვევას (Bornstein 1994); ფაინბერგი გენდერული ბინარულობის შედეგად გარიყული ჯგუფების სოციალურ მოძრაობად ჩამოყალიბების საჭიროებაზე საუბრობდა (Feinberg 1996), განსაზღვრავდა რა კვლევის დისციპლინარულ ველს (Ekins and King 2006, 13-27). ზოგი ავტორი სინანულით აღნიშნავს, რომ გრანსსექსუალთა ხმებს გრანსგენდერთა ხმები ექსპლიციტურად გადაფარავს. გენდერის ხელოვნურობაზე ხაზგასმამ სქესმინიჭებული სხეულის ცვლილების სურვილს, შესაძლოა, მნიშვნელობა დაუკარგოს. ხოლო სხეულის ცვლილებისკენ სწრაფვა კი გრანსსექსუალთა გამოცდილების განუყოფელი ნაწილია. გრანსგენდერის იდენტობა შეიძლება გახდეს გამომრიცხველი იდენტობა – მხოლოდ მათთვის, ვისაც სურთ, საკუთარ საჯარო იდენტობაში „გენდერული ბინარულობა დაამსხვრიონ” (Prosser 1998; Rubin 1998; Namaste 2000); ამით კი ქვიარ/გრანს/გრანსგენდერულ თეორიებსა თუ თემებში გრანსსექსუალთა ნარატივების, მათი ხმების მნიშვნელობის დაკარგვა ხდება. მიუხედავად იმისა, რომ რუბინმა ერთგვარი „აკრძალვა დააწესა შეკითხვაზე, არიან თუ არა გრანსსექსუალები, ან არის თუ არა გრანსსექსუალიზმი აშკარად სუბვერსიული ან ჰეგემონური” (Rubin 2003, 184), ამგვარი ბინარული ოპოზიციებით მსჯელობა ისევ გრძელდება. მრავალი ფემინისტური და ქვიარ თეორია ქმნის ბინარულ ოპოზიციას, რომელიც გრანსგენდერულ ნარატივებს მეტ ღირებულებას ანიჭებს, კერძოდ, მათ სუბვერსიულობის, სოციალური კონსტრუქტივიზმის მახასიათებლებს მიაწერს, ამასთან, გრანსგენდერულ ნარატივებს გენდერის ბინარულობის გამოწვევის საშუალებად განიხილავენ. რაც

შეეხება გრანსსექსუალურ ნარაგივებს, მათ ღირებულებას უკარგავენ და უწოდებენ კონსერვატიულს, ესენციალისტურს, ბიოლოგიურ-დეგერმინისტულს და გენდერულად კონფორმულს (Rubin 1999, 178; Prosser 2006, 265). ამ ბინარულობის მეორე მხარეა, როცა ზოგიერთი აქტივისტი (რომლებიც, შესაძლოა, საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ, როგორც „ადამიანები გრანსსექსუალიზმით“), მოიხმობს ხოლმე ბიოლოგიურ არგუმენტებს, რათა გაამყაროს „არასწორ სხეულში დაბადებული“ ადამიანის შესახებ ტრადიციული გრანსსექსუალური ნარაგივი; ამგვარად, ეს აქტივისტები უგულვებელყოფენ გრანსგენდერულ თვითგამოხატვას, ზოგჯერ კი ამტკიცებენ, რომ „ადამიანები, რომლებიც გრანსსექსუალიზმით ცხოვრობენ... რეალურად ამყარებენ გენდერის ბინარულ გაგებას“ (Gurney 2004, 344). გრანსსექსუალიზმი გაგებულია, როგორც ბიოლოგიური, თანდაყოლილი რამ, რასაც ადამიანი არ ირჩევს; ის იმსახურებს სოციალურ და სამართლებრივ აღიარებას, მაშინ, როდესაც გრანსგენდერი წარმოდგენილია, როგორც სოციალური, დასწავილი, თავისუფალ არჩევანზე დამოკიდებული, რომელიც არ იმსახურებს გენდერის სამართლებრივ ცვლილებას, მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ დისკრიმინაციისაგან დაცვა (Wallbank 2004). უკიდურეს შემთხვევაში, გრანსსექსუალიზმის „ჰარი ბენჰამინის სინდრომით“ (HBS) ჩანაცვლების მხარდამჭერი ამბობს, რომ „ყველა ადამიანი, რომელსაც ჰარი ბენჰამინის სინდრომი აქვს, სრულიად უნდა განერიდოს „გრანსგენდერისტებს“, რადგან ისინი თანაგრძნობის მიღების მიზნით „კვლილობენ“ ამ სინდრომის მქონე ადამიანების „გამოყენებას“ (Gojar 2008).<sup>5</sup> შედარებით ინკლუზიური მიდგომა ბიოლოგიურსა და სოციალურს წარმოგვიდგენს, როგორც სქესისა და გენდერის ნებისმიერ გამოხატვასა და იდენტობაში მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ კატეგორიებს, ხოლო გენდერის ნებისმიერი გამოხატვის სოციალური და სამართლებრივი აღიარების მიზნით ახდენს პოლიტიკური ალიანსების ლეგიტიმაციას. ამ შემთხვევაში, ყველაზე საჭიროა კრიტიკული სოციალური თეორია, რომელიც მხარს დაუჭერს გენდერულად არაკონფორმული ადამიანებისგან შემდგარ სოციალურ მოძრაობას, რაც გაცხდება აკადემიაში თეორიულ სოციოლოგიურ დისკუსიებს (Namaste 2000, 28–30). ობიექტივისტურის ნაცვლად ჩვენ გვჭირდება კვლევის რეფლექსიური ჩარჩო, რომელიც მოერგება არსებული სოციალური ურთიერთობების კონტექსტს. აღნიშნული ჩარჩო შეძლებს, ახსნას, თუ როგორ აღიქვამენ საკუთარ გამოცდილებებსა და ცხოვრებას გრანსი ადამიანები. ჩემი მიმდინარე კვლევითი პროექტი, რომელიც ამ სტატიის ფოკუსს არ წარმოადგენს, მიზნად ისახავს იმ ჯგუფების „შესწავლას“, რომლებიც იკვლევენ გრანს ადამიანებს, ნაცვლად იმისა, რომ „შეისწავლოს“ გრანსი ადამიანების მარგინალიზებული ჯგუფები. ეს კვლევა ხაზს უსვამს ახალი კონცეპტუალური ჩარჩოს მნიშვნელობას, რომელიც ჩანაცვლებს ძველ დიქტომიებს და უფრო ეფექტურად ეცდება სქესმინიჭებული/გენდერირებული განსხვავების თეორიზებას.

### ესენციალიზმიდან და კონსტრუქციიდან სხეულებრივ გარდაქმნამდე

სოციალური კონსტრუქცივიზმის თეორია მრავლისმომგანი იყო ფემინისტური და სხვა სოციალური ანალიზის თეორიებისთვის. „გენდერის“ კატეგორიის გამოყენებამ იმის განსაზღვრაში, თუ როგორ ახდენს სამოგადოება ბიოლოგიური სქესის ჩანაცვლებას, სქესობრივი განსხვავებების არაბუნებრივად განხილვა/დენაგურალიზაცია გამოიწვია; ქალის ანაგომიას აღარ ახასიათებდნენ, როგორც სუბორდინირებულს. თუმცა, სქესი/გენდერის გახლეჩა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის ის, რომ სქესი, ბიოლოგია და ბუნება ხშირად

5

6

დანახულია, როგორც მყარი და უცვლელი რამ: *თეთრი ფურცელი*, რომელზეც საზოგადოება წერს. ამის საპირისპიროდ, გენდერი, საზოგადოება და კულტურა აღქმულია ცვლილებების სფეროებად, სადაც ყოველივე საინტერესო ხდება, მაშინ, როდესაც ბიოლოგიის როლი მინიმუმამდეა დაყვანილი და შესაძლებლობის ნაცვლად აღქმულია, როგორც შემლუფა. მრავალმა ფემინისტურმა ნაშრომმა შეასუსტა სქესი/გენდერის დაყოფა გენდერის მხრიდან იმის მტკიცებით, თითქოს სქესს მხოლოდ იმიტომ განვასხვავებთ, რომ ჩვენ ვაღიარებთ ჰეტეროსექსუალობის ნორმატიულობას. ამ ჩარჩოში ბიოლოგიური (ან „ბუნებრივი“) ნიშნები შესაძლოა, იყოს დისკურსის შედეგი, აგენტობისა და დამოუკიდებლობისაგან დაცლილი. გრანს კვლევებიც ემიჯნება ბიოლოგიურ ახსნებს იმით, რომ გამოხატავს ლესბოსური, გეი და ფემინისტური თეორიების მხრიდან ზეგავლენას „სუბვერსიულ“ გრანსგენდერულ თეორიაზე, როგორც ეს ასახულია ესენციალიზმის დადანიამულებებში, რაც მიემართება გრანსსექსუალთა უმთავრეს სურვილს – სხეულებრივი ცვლილებების შედეგად მიაღწიონ ნამდვილობას/ავთენტურობას. აღნიშნულს გამოწვევის წინაშე აყენებს გრანს სხეულებსა და ქცევებზე ჰორმონების კომპლექსური ზეგავლენის გათვალისწინება, რამაც ჰეტერონორმატიული და ქვიარ ნარატივების სიმცდარე დაამტკიცა, რადგან, ერთდროულად ეთანხმებოდა და საფუძველს აცლიდა ჰორმონებისა და ქცევის დომინანტურ გაგებას (Rubin 2003, 152–60; Serano 2007, 65–76). ბაგლერი და გროსი სხვადასხვა თეორიული მიმართულებიდან ებრძოდნენ „სხეულს“. როდესაც გამოთქვამდა მოსაზრებას ჰეტერონორმატიულობის პროდუქტიულ ძალაუფლებაზე, ბაგლერი ამბობდა, რომ სქესი „თავიდანვე გენდერი იყო“ (Butler 1999, 11), მაშინ, როდესაც გროსი ყურადღებას ამახვილებდა სქესობრივ განსხვავებაზე, რომელიც გენდერის ნაცვლად ეყრდნობა სქესს. თუმცა, მე ვამტკიცებ, რომ სქესისა და გენდერის განსხვავებულ კატეგორიებად განხილვა გოვებს სივრცეს იმისათვის, რომ გრანსსექსუალობა სოციალურ კონსტრუქტად განვიხილოთ გრანსსექსუალების რეალური ცხოვრებისა და გამოცდილებების უგულებელყოფისა და „ცრუ ცნობიერებად“ განხილვის გარეშე; ეს ასევე, საფუძველი ხდება იმისა, რომ თავიდან ავირიდოთ „გრანსსექსუალურ ნარატივებში დაძაბულობის“ უგულებელყოფის საფრთხე (Rubin 2003, 18).

მაშინ, როდესაც კულტურულ პრაქტიკებზე დაკვირვებისას სოციალურმა კონსტრუქცივიზმმა ნებისმიერი მნიშვნელობა შეიძლება დაუკარგოს ცოცხალ სხეულს, სქესმინიჭებული სხეული პასიურ ბიოლოგიურ მოცემულობად განიხილოს (Birke 2000, 34), თეორეტიკოსები ახალ მიმართულებას ეძებდნენ. ბაგლერის ანალიზი კონცენტირდება ლინგვისტურ დისკურსში სქესმინიჭებული სხეულის მაგერიალიზაციამდე და შემლუფულია სხეულის ზედაპირამდე, სადაც ის კულტურულად გასაგები ხდება (Cheah 1996). მაშინ, როდესაც ბუნება/კულტურის დუალიზმის ორივე მხარე ერთმანეთის შემლუფვლად მოქმედებს, ბაგლერი ისევ უსვამს ხაზს სქესის ბიოლოგიური ნიშნების უცვლელობას, ადარებს რა მას გენდერის მოქნილობას (Roberts 2000). სხეულებრივი ნიშნები და ის, თუ როგორ ხდება სიცოცხლის განმავლობაში მათი განვითარება, უჩინარი და შეუსწავლელია და მათი კვლევის საშუალება მხოლოდ ბიოლოგებს რჩებათ. „ცვალებად სხეულებში“ (1994), გროსი უღრმავდება ბიოლოგიურ დეტალებს და საუბრობს ცოცხალ გამოცდილებასა და სქესმინიჭებული „სხეულის დინებებზე“. მისი მტკიცება, რომ „კულტურა, ისტორია და ენა, ფართო გაგებით, ადამიანის ბიოლოგიაშია“ (Grosz in Wilson 1999, 7), მისაღებია მათთვის, ვისაც ბიოლოგიის დისციპლინაში აქვს მიღებული ცოდნა, მაგრამ ეს მოსაზრება გაოცებას იწვევს პოსტსტრუქტურალისტური ტრადიციის ფემინიზმში. ეს გამოსახავს მაგერიალურ ფემინიზმს, რომელიც „დიდი წარმატებით მოდის თანხმობაში ბიოლოგიურ ახსნებთან“ (Wilson 1999, 8). გროსი ეწინააღმდეგება ამრს, რომ მაგერიალური სხეული და მისი განსხვავებული რეპრეზენტაცია

ერთმანეთისაგან განცალკევებულია (Grosz 1994, x–xi) და გვთავაზობს კულტურასა და ბუნებას შორის ორმხრივ მიზეზობრივ კავშირს. თუმცა, ყურადღება ისევ გამახვილებულია კულტურული ცვალებადობის სტრატეგიულ ღირებულებებზე და ეწინააღმდეგება სხეულის მაგერიალურობის სიმყარეს. ბიოლოგიური, უმეტესწილად, თეორიზებულია, როგორც სოციალურის შემზღვეველი რამ, ვიდრე – პირიქით. ეს კი ხელს უწყობს პასიური-ბიოლოგიურისა და აქტიური-სოციალურის საწინააღმდეგო ცნებების ხელახლა წარმოქმნას. თუმცა, ბუნებისა და კულტურის ურთიერთკავშირის თეორიზების შედეგად, შეკითხვა, სხეული ბიოლოგიურია თუ სოციალური, იცვლება კითხვით, „რამდენად გვიჩვენებს სხეულის კვლევა ამ კატეგორიების შემზღვევეს“ (Roberts 2000). იმ მიზნით, რომ ჩავუღრმავდეთ ბიოლოგიურ სხეულს და მეტი გავიგოთ მასზე, ფემინისტური ანალიზი უნდა გასცდეს სხეულის, როგორც შემზღვეველის, უცვლელობისა და მოცემულის თეორიზებას. ნაცვლად ამისა, უნდა ჩავუღრმავდეთ „სხეულებრივი გარდაქმნის“ იდეას, რომლის თანახმად, ბიოლოგიური სხეული არის დინამიური და გრანსფორმაციული პროცესების ნაწილი (Birke 2000, 136). გროსის ბოლოდროინდელი ნაშრომი განვრცობილია იმ ხაზის მიხედვით, რომელიც ქვემოთ, სხვა სექციაში არის მოცემული (Grosz 2004, 2005).

მეცნიერების ფემინისტურ კვლევებში მეცნიერება წარმოდგენილია, როგორც ადამიანის კულტურული საქმიანობა და მასში რთულად ამოსახსნელი სამსჯელო საკითხების ერთობლიობა. ჰარავეი უარყოფს როგორც პომიტივისტური მეცნიერების ობიექტურობას, ისე – კონსტრუქცივიზმის რელატივიზმს, რაც მეცნიერებას, როგორც სხვა მრავალს შორის ერთ-ერთ რიტორიკულ შემთხვევად წარმოგვიდგენს (Haraway 1991, 183–202). რელატივიზმის პრობლემა არის ის, რომ პოლიტიკურად განწყობილი ადამიანები დაინტერესებულნი არიან სამყაროს იმგვარ სანდო აღწერებში, რომლებიც შეიძლება, დომინაციის გამოწვევებს ახლდეს თან. როდესაც ფემინისტები და მეცნიერების სხვა კრიტიკოსები „მტრულად განწყობილი მეცნიერების სფეროში სიმართლის მტკიცების სადავოების დეკონსტრუქციის“ საშუალებებს ეძებდნენ, ისინი მსჯელობას ასრულებდნენ „ეპისტემოლოგიური ელექტროშოკური თერაპიით“, რაც შეკავშირებული იყო „თვითნაწარმოები იდენტობის დისოციაციურ აშლილობასთან“ (186). პრობლემა არის ის, რომ ჩვენ საჭიროა, ერთდროულად ორი რამ გავითვალისწინოთ – ცოდნის ფლობის ყველა მცდელობის ისტორიული დამოკიდებულება და ნამდვილი სამყაროს შესახებ სწორი ცოდნის შექმნის პასუხისმგებლობა (187). პრობლემის გადაჭრის გზა, რომელსაც ჰარავეი გვთავაზობს, არის „შემზღვეულ ცოდნებში“ წარმოდგენილი ერთ-ერთი ობიექტურობა – ხედავს საიდანაც, ლოკალურად კონტექსტუალიზებული პერსპექტივიდან. მსგავსი ცოდნები სამყაროში არსებულ მოვლენებს/საგნებს განიხილავენ, როგორც აქტორებსა და აგენტებს. ბუნება არ არის პასიური, კულტურის მიერ გარდაქმნილი რამ. ნაცვლად ამისა, ბუნებას/სამყაროს/ბიოლოგიას გააჩნია აგენტობა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები აგენტობას განსხვავებულად ახორციელებენ. ეს მიდგომა „მუდმივად აყენებს ეჭვქვეშ სქესისა და გენდერის ბინარულ კატეგორიებს, თუმცა, არ უგულებელყოფს მათ სტრატეგიულ საჭიროებას (199). სხეულები არასწორად არიან შესწავლილი ბიოლოგიური დეგერმინიზმის, ან კი კულტურული კონსტრუქცივიზმის პრიმიზაში. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია, სხეულები ენისა და დისკურსის საზღვრებს გარეთ ვიკვლიოთ, საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ისინი ენისაგან არ იქმნებიან.

ჰარავეი, გროსი და სხვა მკვლევრები (Barad 1996), ასევე ფემინისტური ბიოლოგები (Spanier 1995; Fausto-Sterling 2000) გვთავაზობენ ახალ კონცეპტუალურ სტრატეგიებს. ეს კი გვეხმარება, ძირითადი გამოუთხაროთ ბუნებისა და კულტურის, მაგერიალურობისა და კონსტრუქციის, სოციალურისა და ბიოლოგიურის აგენტობის დუალისტურ ხედვას. შესაბამისად, ბიოლოგიური სხეული აღარ არის ისეთ

რამ, რაც პასიურად კონსტრუირდება, არამედ, ის თავად ახდენს ზეგავლენას დისკურსზე; ჩვენ საშუალება გვაქვს, რომ ლეგალურად გადავამოწმოთ სხეულებსა და გვინში სქესის განსხვავებებზე არსებული ბიოლოგიური კვლევები და მათი მორგება გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებზე. ბიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში ჰორმონებისა და ქვევების შესახებ კვლევის შედეგები, რომელშიც ცხოველები გამოიყენებიან, პირდაპირ განავრცეს ადამიანებზე (Fausto-Sterling 2000, 232). იმ კვლევებში, რომლებიც ქვევასა თუ კოგნიტიურ მახასიათებლებში სქესობრივ განსხვავებებს შეეხება, მიღებულ მონაცემთა საშუალოებში მცირე სხვაობები შეინიშნება, რითაც მიუთითებენ, რომ ქალებისა და კაცების გვინი არსებითად განსხვავდება. ისეთი დისციპლინები, როგორცაა სოციობიოლოგია და ევოლუციური ფსიქოლოგია, ხშირად გააკრიტიკეს ონტოლოგიური რელუქციონიზმის, მიმემობრივი კავშირის სწორხაზოვანი ჯაჭვისა და გენეტიკური დეგერმინიზმის გამო, რადგანაც ეს ყველაფერი კაცების ღომინირების გამართლებას უწყობდა ხელს (Roughgarden 2004, 172-75). ამ მიდგომაში მთავარი არის ის მოსაზრება, რომ ბიოლოგია მისი კონტექსტუალური მნიშვნელობებისგან განუყოფელია, რომ ბუნების განცალკევება დასწავლისგან შეუძლებელია (Spanier 1995, 19). სოციობიოლოგიის ადიქციური მოდელი ყურადღების მიღმა გოვებს განვითარებასა და მრდაში ერთობლივ, არაადიქციურ ინტერაქციას. მსგავსი დუალისტური მიდგომები ბუნება/კულტურის დაყოფას ორივე მხარეს გადაანაცვლებს: ევოლუცია და ბუნება სავსეა განსხვავებებითა და ღინამიმით, მაშინ, როდესაც სამოგადობასა და კულტურას ახასიათებს განსაზღვრულობა და უცვლელობა; ადამიანები ბუნების ნაწილი არიან და ცხოველები - კულტურის; ადამიანის სექსუალობისა და გენდერის კომპლექსური გამოხატვა კარგავს თავის უნიკალურობას, როდესაც ის განთავსდება სექსუალობისა და გენდერის უჩვეულოდ მრავალფეროვან ცხოველურ გამოხატვაში. ფემინისტურმა და გრანს კვლევებმა უნდა აღიაროს ბიოლოგიის ის მიმართულება, რომელიც არასწორხაზოვანი იქნება. თუმცა, ფემინისტები, რომლებიც აპირებდნენ სხეულის სიღრმისეულ კვლევას, აღნიშნავენ, რომ მსგავსი კვლევის შესახებ საუბარი გაცილებით მარტივია, ვიდრე - მისი რეალურად განხორციელება (Keane and Rosengarten 2002).

ბაგლერის ტექსტში „სამართლიანობის აღდგენა სხვისთვის“ (2006) ჩანს, თუ რას ნიშნავს ბიოლოგიურ დისკურსში ჩართვისას საკითხის არასწორად გაგება. ბაგლერი ითვალისწინებს დევიდ რეიმერის მაგალითს, ბიჭს, რომელიც არასწორად ჩაგარებული სირკუმსაციის შემდეგ გოგოდ გრანსფორმირდა და ამტკიცებს, რომ საწყის ეტაპზე მანის ეს გრაგიკული ისტორია გამოიყენა, რათა განემტკიცებინა აზრი ადამიანის დაბადების მომენტიდან მის ფსიქოსექსუალურ ნეიგრალობაზე (Butler 2006). ამის შემდეგ დაიმონდმა გამოიყენა დევიდის მიერ კაცის იდენტობასთან დაბრუნების მცდელობა, რათა გაემყარებინა არგუმენტი, რომ გენდერული იდენტობა თანდაყოლილია (Butler 2006, 185-86). თუმცა, ბაგლერი უარყოფითად წარმოაჩენს იმას, რომ დაიმონდი XY ქრომოსომების მქონე ბავშვებს, რომელთაც პატარა პენისი აქვთ, ან საერთოდ არ აქვთ, ბიჭებთან აიგივებს და არა - გოგოებთან, თუმცა, მხარს მანაც უჭერს ადრეულ ქირურგიულ ჩარევას. აქ არასწორად ახდენს ბაგლერი დაიმონდის რეპრეზენტაციას, რომელიც აქტიურად ეწინააღმდეგება ინტერსექს ბავშვებში სხვადასხვა ქირურგიულ ინტერვენციას.<sup>7</sup> ბაგლერი, როგორც ჩანს, დისციპლინური სამღვრების მსხვერპლი გახდა. ის ციტირებს მხოლოდ ორ სტატიას, რომელიც ბიოლოგიას შეეხება: 1997 წლის დაიმონდისა და ზიგმუნდსონის და 2000 წლის ფაუსტო-სტერლინგის ტექსტებს, 45-77. მაგრამ ფაუსტო-სტერლინგი აღნიშნავს: „დაიმონდი მოითხოვს მკურნალობის ახალ პარადიგმებს - უპირველეს ყოვლისა კი, სასწრაფო და გადაუღებელი ქირურგიული ოპერაციების ღრთში გადაღებას“ (70).



არის თუ არა მნიშვნელოვანი ბაგლერის მიერ აღნიშნული საკითხის არასწორი ინტერპრეტაცია? ეს არ ახდენს გავლენას მის მთავარ არგუმენტზე, გავიგოთ დევიდ რეიმერის ისტორია, როგორც სოციალურად ან ბიოლოგიურად განსაზღვრული გენდერის არსებობის მტკიცებულება. ამის სანაცვლოდ, ის ამ ისტორიის ინტერპრეტირებას ახდენს, როგორც იმედით სავსესა და მოულოდნელს, რომელიც ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ჩვენ შეიძლება შეგვიყვარონ „მეს“ გამო, რაც გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ანატომია ან გენდერული ნორმები (Butler 2006, 191–93). თუმცა, დევიდ რეიმერის გრაგიკული ისტორია ბუნება/აღზრდის დაპირისპირებისა და გენდერის შესახებ დისკუსიაში დღემდე მისტიური რჩება. რამდენადაც ბაგლერი ძალიან გავლენიანია ქვიარ/გრანს კვლევებში და ეს ერთადერთი სტაგიაა გრანსგენდერული კვლევების საკითხავში დევიდ რეიმერის ისტორიაზე სადისკუსიოდ, მრავალმა მკითხველმა მისი ინტერპრეტაცია ავტორიტეტულად შეიძლება მიიჩნიოს, ხოლო დაიმონდი რეაქციონერულ ბიოლოგიურ დეკემინიზმში დაადანაშაულოს.<sup>8</sup> დაიმონდი გენდერულად არაკონფორმული ადამიანების მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოკავშირეა. ის ცხადად უპირისპირდება ინტერსექსი, გრანსგენდერი და გრანსსექსუალი ადამიანების პათოლიგიზირებას, ამტკიცებს, რომ ისინი ჯანმრთელი ადამიანები არიან (Diamond 2005).<sup>9</sup> ბაგლერის არგუმენტის მნიშვნელოვან ნაწილს მის მიერ დაწერილი არასწორი ინტერპრეტაციები გადაფარავს. მას შემდეგი არგუმენტი მოჰყავს, რომ მანისთვის ფალოსის არსებობა კაცად არსებობის საზღვრების დასადგენი უმნიშვნელოვანესი რამაა, მაშინ, როცა დაიმონდისთვის ამას Y ქრომოსომა წარმოადგენს. იგი მიმართავს სოციალური კონსტრუქციის და გენეტიკის გაგების იმ გზებს, რომლებიც განსხვავდება იმისგან, რასაც გვთავაზობენ „ბუნებრივი და ნორმატიული გენდერის“ იდეის მომხრეები (Butler 2006, 188). დაიმონდი თავად ეკამათება ნორმატიულ გენდერულ ბინარულობას; იგი გენდერის, სქესისა და სექსუალობის მთელ რიგ გამოხატულებებს ხედავს, როგორც „ბუნებრივ“ პროდუქტს, რომელიც სოციალურ კონტექსტში წარმოიქმნება და მიიჩნევს, რომ ადამიანებმა მათთვის სასურველი ნებისმიერი გენდერული გამოხატვის ფარგლებში უნდა იცხოვრონ (Diamond 2006).<sup>10</sup>

### **ბიოლოგიის, როგორც მრავალფეროვნების შემოქმედების ინტერპრეტაცია**

სოციალურ მეცნიერებებში სოციალური კონსტრუქცივიზმის მეთოდოლოგიის მსგავსად, რედუქციონიზმი განსაკუთრებით მრავლისმომგანი იყო ფიზიკური მეცნიერებებისთვის. თუმცა, ამის საფასური არსებობს: სოციალურ-კონსტრუქცივისტული მეთოდოლოგია იყენებს ონტოლოგიურ რწმენას იმის თაობაზე, რომ გენდერი ბიოლოგიის მიერ იწარმოება. ზოგიერთ სფეროში გარკვეული შემდეგები არსებობს: სოციალური კონსტრუქცივიზმისთვის ბიოლოგიური მაგერიალურობა, ხოლო რედუქციონიზმისთვის – კომპლექსური სისტემები.

ბოლოდროინდელი ნაშრომები სოციალურ კვლევასა და ბიოლოგიაში დისციპლინური საზღვრების ერთმანეთთან მიახლოების ტენდენციას აჩვენებს. ფემინისტი ავტორები, მაგალითად, გროსი და ჰირდი, ბიოლოგიურ კომპონენტებზე ამახვილებენ ყურადღებას, მაშინ, როცა ბიოლოგიის

8

9

10

მკვლევრები, ბეიჯინი, რაფგარდენი, და სექსოლოგიის სფეროს მკვლევარი, დაიმონდი, გამოწვევის წინაშე აყენებენ დასკვნებს, რომ არსებობს მხოლოდ ორი სქესი, ორი გენდერი და ორი სექსუალობა; ასევე ამტკიცებენ, რომ სწორია, თუკი ეცდები მრავალფეროვნების ნორმალიზებას. გროსი და ჰირდი იყენებენ ბირკეს აქცენტს „გარდაქმნაზე“ და მის ინტეგრირებას ახლენენ მეცნიერების ველში „ახალი მაგერიალიზმის“ იდეასთან. გროსი დარვინის იდეას განიხილავს, როგორც კულტურის კონცეფციის განვითარების წყაროს, კულტურისა, რომელიც არ არის ბუნებისგან განცალკევებული და რომელიც ბუნებას ხელავს, როგორც „აქტიურსა და დინამიურს... აღიქვამს მას იმ ნიადაგად, რომელიც კულტურას ისტორიულად და ლოგიკურად შესაძლებელს ხდის“ (Grosz 2005, 52). ის ამტკიცებს, რომ დარვინის რადიკალური იდეები ფემინიზმში არ ყოფილა საკმარისად დაფასებული. დარვინმა ბიოლოგიისა და ბუნების დისციპლინებში ისტორია შემოიგანა: ცხოველებისა და მცენარეების შესახებ აღქმა, რომლის მიხედვითაც, ისინი ღმერთის მიერ იყვნენ შექმნილები, ჩანაცვლდა მოსაზრებით, რომ ისინი ვითარდებიან ინტერაქციისა და შემთხვევითი მოვლენების დროს. ბიოლოგია აღარ იყო ფიზიკისა და ქიმიის მსგავსი, რომლებიც მექანიკური დეტერმინიზმით ხასიათდება. ნაცვლად ამისა, მომავალი წარმოდგენილია, როგორც საზღვრების არმქონე და გაურკვეველი: შეუძლებელია, ვიწინასწარმეტყველოთ ევოლუციის შესაძლო განვითარება. ყველა მოსაზრება ევოლუციის პროცესში საჭირო პროგრესის თაობაზე გაქრა და კაცობრიობა აღარ აღიქმება ღმერთის მიერ შექმნილი არსებების უმაღლეს საფეხურად. ამის სანაცვლოდ კი ადამიანი ბუნებრივი გადარჩევის პროდუქტად განიხილებოდა, რაც არაფრით გამოარჩევდა მას სხვა არსებებისგან. სიცოცხლის მთელი კონცეფცია იცვლება „სტატიკურობიდან დინამიურ პროცესებად“, „არსებობიდან გარდაქმნად“, „არსიდან ეგზისტენციად“ (36). ეს არის შემთხვევისა და გაურკვეველობის ელემენტები, დროში განვითარება, ადამიანების გამორიცხვა მოვლენების ცენტრიდან, რაც, გროსის აზრით, ფემინიზმმა ანალიზისას უნდა გამოიყენოს. ფემინისტი სოციოლოგი, ჰირდი, საუბრობს მიდგომის ფუნდამენტურ ცვლილებაზე, კერძოდ, პოსტდარვინისტული ევოლუციური თეორიის „ახალ მაგერიალიზმზე“ (Hird 2004, 53), რომელიც ბოლო დროის ბიოლოგიური კვლევებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო გახდა. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში უპირატესობა ენიჭება მრავალფეროვნებას კონფორმულობის ნაცვლად, არასწორხაზოვნებასა და თვითორგანიზებულობას სწორხაზოვანი მიმდინარეობის კავშირის ნაცვლად, შემთხვევითობას განსაზღვრულობის ნაცვლად. აღნიშნული ევოლუციური მიდგომები, მაგალითად, სოციოლოგია, ხაზს უსვამს ფუნქციონალობასა და ადაპტაციას, სადაც ბუნების კანონების მიმართ მორჩილება და კონფორმულობა განსაზღვრავს სხვადასხვა არსების ფიზიკურ ფორმასა და ქცევას. ახალი მაგერიალიზმი ყურადღებას ამახვილებს მრავალფეროვნებაზე, რაც გულისხმობს ცვლილებებისა და ვარიაციის შედეგად მიღებულ მახასიათებლებს. დეტერმინიზმი „საზღვრების არარსებობითა და... ახლის წარმოშობით“ ჩანაცვლდება (Grosz in Hird 2004, 56).

ეს პარადიგმული ცვლილება არასრულია: ადამიანის განვითარებასთან დაკავშირებული დებატები რელუქციონისგულ და ჰოლისტურ მიდგომებს შორის განსაკუთრებით გაძლიერდა 1970-იანი წლების შემდეგ, თუკი გავიხსენებთ, მაგალითად, დოკინსსა და გულდს. ბევრი სხვა მკვლევარი ინარჩუნებს ერთმიმართულებიან მიმდინარე კავშირს. სქესისა და გენდერის კონცეფციებში ცვლილება, შესაძლოა, უფრო მძაფრი იყოს ბიოლოგიაში, ვიდრე – ფსიქოლოგიაში.<sup>11</sup> მაგალითად, როდესაც ვსწავლობდი გენეტიკას უნივერსიტეტისა და სკოლის მაღალ საფეხურზე, მე გავიგე, რომ შემთხვევითობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ადამიანის ევოლუციაში; გენეტიკური მუტაციის

ზეგავლენა იცვლება სხვა გენების, გარემოსა და სხვა ფაქტორების შედეგად; გენებისა და გარემოს ურთიერთქმედება უნივერსალურია. გენეტიკის ლექტორები ადამიანის ქცევის მარტივი გენეტიკური მიზეზობრივი კავშირის იდეებს გულმოდგინედ აბათილებდნენ, მაშინ, როდესაც ზოგიერთი ბიპევიორალური ნეირომეცნიერების ლექტორი გენეტიკურ ლეგერმინიზმს მიმართავდა. ევოლუციურ ბიოლოგებს შორის მიმდინარე დებატები მოიცავს შემდეგ საკითხებს: მრავალფეროვნების დადასტურება ან დათრგუნვა (Roughgarden 2004, 15); „სუბვერსიული ფილოსოფიური გადასვლა“ (200) ფენოტიპის გამომყოფელი გენებიდან სპეციფიკაციების ჩამწერ ეკოლოგიამდე და გენებამდე, რომლებიც ნიშნის გაცემისთვის კონკურენციაში არიან (201); „მთავარი გენის“ განვითარების კასკადში ჩართვის იდეა „გენების კომიტეტის“ იდეის წინააღმდეგ, რომელსაც ორგანიზმი აკონტროლებს (205). ახალი პარადიგმა კომპლექსური სისტემების ანალიზში ახერხებს და ბოლო ათეული წლებია, ქმნის თეორიის ინტერდისციპლინარულ სფეროებს, როგორებიცაა განვითარების სისტემების თეორია (Oyama 1985; Fausto-Sterling 2000, 25–27), კომპლექსურობის თეორია და არასწორხაზოვანი დინამიკა.<sup>12</sup> კომპლექსურ სისტემებში „მთლიანი მეგია, ვიდრე – მისი შემადგენელი ნაწილების ჯამში“. უფრო მეტიც, ეს სისტემები ფლობს *გამოჩენის, ადაპტაციისა და თვითორგანიზების* თვისებებს (Bonchev and Rouvray 2005, vi). ბიოლოგიური სისტემების კომპიუტერული მოდელები, რომლებიც აერთიანებს რამდენიმე ათეულ არასწორხაზოვან ცვლადს, „წარმოადგენენ რეალობის იმიტაციას, რომელიც კომპლექსური პროცესების ინდივიდუალური განხორციელებაა, სადაც შემთხვევითობა, შესაძლებლობა და არასწორხაზოვნება საფუძვლად უდევს შესაძლო შედეგების მრავალფეროვნებას (Levin et al. 1997, 334). უძრავობის, მუდმივი ზრდის ან დაცემის სწორხაზოვანი მოდელების ნაცვლად, ჩვენ სახეზე გვაქვს ციკლური ცვლილებისა ან ქაოსური განვითარების არასწორხაზოვან მოდელები. როგორც ჩანს, მრავალმა სოციალურმა ანალიტიკოსმა მიიღო მონაწილეობა იმ ცვლილებაში, რაც უკავშირდება ბიოლოგიური განვითარების გაგებას, როგორც არასწორხაზოვან, დინამიურ და შემთხვევითობაზე დაფუძნებულ პროცესს. გრანს კვლევებისთვის, შესაძლოა, სარგებლის მომგანი იყოს მეცნიერების ფემინისტური კვლევების გამოყენება, რომელთა კვლევის ფოკუსს ბიოლოგია წარმოადგენს. ფემინისტურმა და გრანს კვლევებმა, შესაძლოა, მეტი ინფორმაცია შეკრიბოს და შესაბამისად, ხელი შეუწყოს ახალი პარადიგმის განვითარებას.

ბეიჯმილის *ბიოლოგიური სიუხვე* (1999) და როფგარდენის *ევოლუციის ცისარგველა* (2004) გვაწვდის სქესისა და გენდერის მრავალფეროვნების დაკვირვების შედეგებს ადამიანებსა და ცხოველებში, რასაც ძალიან იშვიათად იყენებენ ის ფემინისტი და გრანს მკვლევრები, რომლებიც ახალ მნიშვნელობას ანიჭებენ სქესის, როგორც უცვლელისა და გენდერის, როგორც ცვალებადის ბინარულ ოპოზიციებს. ბეიჯმილი გვთავაზობს მოსაზრებას, რომ ბიოლოგია უკიდურესი და დაუდევარია, ზედმეტად სავსეა მრავალფეროვნებით. ბიომრავალფეროვნება ზრდის ნებისმიერი ბიოლოგიური სისტემის სიცოცხლისუნარიანობასა და სტაბილურობას. „ქცევითი მოქნილობის შესაძლებლობამ, მათ შორის, ჰომოსექსუალობამ, შესაძლოა, გაამყაროს სახეობების უნარი, ცვალებად სამყაროს „შემოქმედებითად“ უპასუხონ (Bagemihl 1999, 251). სქესისა და გენდერის ადაპტაციური, ფუნქციონალური ჰეტეროსექსუალური „ნორმები“ და პათოლოგიური, არაადაპტაციური, არაფუნქციონალური ანომალიები ჩანაცვლებულია ჰეტეროგენული, არაერთგვაროვანი კონტინუუმით. მრავალფეროვანი ჰომოსექსუალური, ბისექსუალური, არარეპროდუქციული ჰეტეროსექსუალური, გრანსსექსუალური და გრანსგენდერული ქცევები,

12

რომლებიც დაფიქსირებულია 300-ზე მეტ ცხოველში, აბათილებს არგუმენტს, რომ მხოლოდ მონოგამიური ჰეტეროსექსუალობა არის „ბუნებრივი“. როფგარდენი ასევე ხაზს უსვამს სქესისა და გენდერის მრავალფეროვნებას, მაგრამ მსჯელობას ათავსებს მეინსტრიმულ ევოლუციურ თეორიაში, ამტკიცებს რა, რომ ჰეტეროსექსუალურ და ჰომოსექსუალურ აქტივობებს აქვთ ადაპტაციური ფუნქციები, რაც სახეობების გამძლეობის უნარს აუმჯობესებს. იგი აკრიტიკებს დარვინის „მორცხვი მდღერებისა და მგზნებარე მამრების“ სქესობრივი გადარჩევის იდეას და მიიჩნევს, რომ სახეობების უმრავლესობაში ის სრულიად არარელევანტურია. სოციალური ევოლუცია არის ქაოტური, არასწორხაზოვანი პროცესი, რომელიც წარმოშობს სქესმინიჭებული სხეულისა და გენდერიებული ქცევების მრავალჯერად, ევოლუციურად სტაბილურ კომბინაციებს (Roughgarden 2004, 177).<sup>13</sup> როფგარდენი კრიტიკულად არის განწყობილი ევოლუციური ფსიქოლოგიის მიმართ, რომელიც სანდო მონაცემების ნაცვლად ღოგმებს ეფუძნება და ისეთი უსამართლო პრაქტიკების ნორმალიზებას ახდენს, როგორცაა გაუპატიურება. როფგარდენი ასევე აკრიტიკებს სოციოლოგებს, რომლებიც „ანადგურებენ მათ მიერ ჩაწერილ პირველად მონათხრობს“, რამდენადაც ისინი „სიგყვამე არ ენდობიან გრანსგენდერ ადამიანებს“ (382–84), კერძოდ, მათ მონათხრობს, რომ გრანსგენდერულ (გრანსსექსუალურ) იდენტობას ბიოლოგიური საფუძველი აქვს. ბიოლოგია და ევოლუცია ამზადებს მრავალფეროვნების ცისარგყელას, რომელიც „ვერ შეივსება გენდერისა და სექსუალობის ორი პაგარა კატეგორიით“ – „ცისარგყელას ყოველთვის აქვს იმაზე მეტი ფერი, ვიდრე სამოგადოებას – კატეგორიები“. სოციალურ მეცნიერებებს განსხვავებული ხედვა აქვს – „რომ სამოგადოება წარმოქმნის განსხვავებულ ადამიანებს შორის, რომლებიც ბიოლოგიურად ერთნაირები არიან“ (396).

